



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს მ ე რ ი ა



წერილის ნომერი: 30-302104269
თარიღი: 11/02/2021
პინი: 0062

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს სა კ რ ე ბ უ ლ ო ს
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ს ბ ა ტ ო ნ ბ ე ს ი კ ტ ა ბ ი ძ ე ს

ბატონო ბესიკ,

როგორც მოგეხსენებათ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასა და კონკურსში გამარჯვებულ ა(ა)იპ „საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის ინსტიტუტს“ (შემდგომში - ინსტიტუტი) შორის 2020 წლის 19 მაისს გაფორმებული N93 ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარეობს გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის შემუშავება.

ინსტიტუტმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შეიმუშავა გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის კონცეფცია თანდართული დოკუმენტაციით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, ხსენებული განაშენიანების გეგმის პროექტის განხილვის მიზნით 2020 წლის 22 ოქტომბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში გაიმართა საჯარო განხილვა, სადაც მოსმენილ იქნა დაინტერესებულ პირთა მოსაზრებები განაშენიანების გეგმასთან დაკავშირებით. აგრეთვე, განაშენიანების გეგმის პროექტი კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეგზავნათ დაინტერესებულ ადმინისტრაციულ ორგანოებს. საჯარო განხილვის შედეგებისა და სხვადასხვა უწყებებიდან მიღებული რეკომენდაციების/მოსაზრებების განხილვის შედეგად, ინსტიტუტმა წარმოადგინა გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის საბოლოო კონცეფცია.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის თანახმად, განაშენიანების გეგმის კონცეფციას ამტკიცებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულო. ამასთან, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260-ე დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის შესაბამისად, განაშენიანების გეგმის საბოლოო კონცეფცია მტკიცდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ზემოღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“, „სივრცით დაგეგმარებისა და

ქალაქმშენებობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილების მე-19 მუხლის შესაბამისად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსისა და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში, გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი მასალა შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე:

<https://drive.google.com/drive/u/1/folders/19vXOas3PSvu5U9cJzpqN74V9QyBb6O>

დანართის სახით წარმოგიდგენთ:

- ძირითადი დოკუმენტების ნუსხას;
- კონცეფციის საჯარო განხილვის მიზნით ჩატარებული შეკრებების ოქმებს;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიერ გაცემული სკოპინგის დაკვნებს;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დასკვნას.

პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოდგენთ მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსის, ალექო კირვალიძის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვანია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

გთხოვთ განიხილოთ.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
სივრცითი მოწყობისა და
ინფრასტრუქტურის სამსახური



წერილის ნომერი: 03-302104232
 თარიღი: 11/02/2021

ადრესატი:

ალექსანდრე სარიშვილი
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა

და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის ლევან ჩხაიძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ალექსანდრე,

როგორც მოგეხსენებათ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასა და კონკურსში გამარჯვებულ ა(ა)იპ „საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის ინსტიტუტს“ (შემდგომში - ინსტიტუტი) შორის 2020 წლის 19 მაისს გაფორმებული N93 ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარეობს გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის შემუშავება.

ინსტიტუტმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შეიმუშავა გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის კონცეფცია თანდართული დოკუმენტაციით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, ხსენებული განაშენიანების გეგმის პროექტის განხილვის მიზნით 2020 წლის 22 ოქტომბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში გაიმართა საჯარო განხილვა, სადაც მოსმენილ იქნა დაინტერესებულ პირთა მოსაზრებები განაშენიანების გეგმასთან დაკავშირებით. აგრეთვე, განაშენიანების გეგმის პროექტი კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეგზავნათ დაინტერესებულ ადმინისტრაციულ ორგანოებს. საჯარო განხილვის შედეგებისა და სხვადასხვა უწყებებიდან მიღებული რეკომენდაციების/მოსაზრებების განხილვის შედეგად, ინსტიტუტმა წარმოადგინა გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის საბოლოო კონცეფცია.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის თანახმად, განაშენიანების გეგმის კონცეფციას ამტკიცებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულო. ამასთან, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260-ე დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის შესაბამისად, განაშენიანების გეგმის საბოლოო კონცეფცია მტკიცდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს უზრუნველყოს წარმოდგენილი დოკუმენტაციის
საკრებულოში წარდგენა

ლევან ჩხაიძე

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური-სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის
უფროსი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
2021 წლის თებერვალი
ქ. ლანჩხუთი

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსისა და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში,
 გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის კონცეფციის
 დამტკიცების შესახებ**

გრიგოლეთი მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში, კოლხეთის დაბლობის დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის პირას, ზღვის დონიდან საშუალოდ 3 მ-ზე. მანძილი თბილისიდან – 315 კმ-ია, ლანჩხუთიდან 25 კმ., სუფსიდან 7 კმ, ურეკიდან (რკინიგზის უახლოესი სადგური) 6 კმ. მასზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზა სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთი ს12. სოფელში დგას გრიგოლ ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესია. ტერიტორიაზე მდებარეობს ტბა გრიგოლეთი. სოფელ გრიგოლეთის მოსახლეობის რიცხოვნობა 2014 წლის საყოველთაო აღწერით 286-ია. სანაპირო ზოლის მცირე ნაწილი მდინარე სუფსის მარცხენა სანაპიროს მიმდებარედ არის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის ტერიტორია (ე.წ. ყვავილნარი), რომელიც ასევე წარმოადგენს სამკურნალო თვისებების მქონე პლაჟს და გრიგოლეთთან ერთად ქმნის ერთიან სანაპირო ზოლს.

გრიგოლეთსა და ყვავილნარს არ გააჩნიათ კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებული ქალაქმშენებლობითი დაგეგმვის დოკუმენტაცია, ამდენად, მათი განვითარება ხდება არაგეგმიურად და უსისტემოდ, რაც ზღუდავს მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას, აფერხებს დამსვენებლებისა და ტურისტული ნაკადის ზრდადობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სუფსისა და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში, გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის შემუშავების მიზნით გამოცხადდა კონკურსი, რომელში გამარჯვებულმა ა(ა)იპ „საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის ინსტიტუტმა“ მოამზადა გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის კონცეფცია. აგრეთვე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებულია გრიგოლეთისა და ყვავილნარის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“, „სივრცით დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილების მე-19 მუხლის შესაბამისად:

მუხლი 1. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსისა და ღმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის კონცეფცია დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე

ს(ა)იპ საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის ინსტიტუტი

ინსტიტუტი ადმინისტრაცია | info@sdmi.ge



ორშაბათი, 18 იანვარი, 2021

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

საქართველო, ლანჩხუთი, კოსტავას ქ. 37
lanchkhuti@yahoo.com

ბატონო ალექსანდრე,

ჩვენ შორის არსებული ხელშეკრულების (სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N93, 19.05.2020წ) ფარგლებში, წარმოგიდგენთ II ეტაპის დოკუმენტაციის კორექტირებულ ვერსიას, დავალებით გათვალისწინებული ციფრული სახით — ინსტიტუტის მონაცემთა ღრუბლოვანი ბაზის გამოყენებით:

- სრული ბმული: <https://drive.google.com/drive/u/1/folders/19vXOas3PSvu5U9cJzpqN74V9QyBb6OjH>
- მოკლე ბმული: <https://rb.gy/s7oxri>

ძირითადი დოკუმენტების ნუსხა

დოკუმენტი	ნაწილი	რაოდენობა	დირექტორია
განაშენიანების გეგმის კონცეფცია (ტერიტორიათა გამოყენების რუკა და განაშენიანების მართვის რეგლამენტი)	ძირითადი	1 პლანშეტი	გრიფოლეთი - 2.4 ეტაპი
განაშენიანების გეგმის კონცეფციის ტექსტური ნაწილი (დასაბუთება)	ძირითადი	74 გვ.	გრიფოლეთი - 2.4 ეტაპი

საქართველო, თბილისი, ბაგები, 0162, ზურაბ საკანდელიძის 6

საბაზისო მონაცემთა მატრიცა	გგ კონცეფციის დანართი (ტექსტური ნაწილი, თავი 6)		გრიგოლეთი - 2.4 ეტაპი
გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიში	ძირითადი	121 გვ.	გრიგოლეთი - 2.4 ეტაპი

საბაზისო მონაცემების ნუსხა

N	მონაცემები / ანგარიშები	ნაწილი	რაოდენობა	დირექტორია
SDMI - #1.1	კერძო იურიდიული და ფიზიკური პირების ინიციატივები კონცეფციასთან მიმართებაში და მათზე რეაგირების ალგორითები	დანართი	21 გვ.	ტექსტური მასალა > დანართები
SDMI - #1.2	სუფსის სასპორტო-სარეკრეაციო არეალის ძირითადი ქალაქთმშენებლობითი იდეები მიწის ნაკვეთების საკუთრების ფორმების ჩვენებით	დანართი	1 გვ.	ტექსტური მასალა > დანართები
SDMI - #2.1	სოციოლოგიური კვლევის ანგარიში	დანართი	20 გვ.	ტექსტური მასალა > დანართები
SDMI - #2.1.1	კვლევის შედეგების ცხრილი	დანართის თანმხლები დოკუმენტი	EXEL-ის დოკუმენტი	ტექსტური მასალა > დანართები
SDMI - #2.1.2	კითხვარის ფორმა	დანართის თანმხლები დოკუმენტი	3 ც.	ტექსტური მასალა > დანართები > კითხვარის ფორმა
SDMI - #2.1.3	შევსებული ანკეტები - მოსახლეობა	დანართის თანმხლები დოკუმენტი	55 ც.	ტექსტური მასალა > დანართები > მოსახლეობა
SDMI - #2.1.4	შევსებული ანკეტები - მოაგარაკენი	დანართის თანმხლები დოკუმენტი	51 ც.	ტექსტური მასალა > დანართები > მოაგარაკენი

საქართველო, თბილისი, ბაგები, 0162, ზურაბ საკანდელიძის 6

SDMI - #2.1.5	შევსებული ანკეტები - ტურისტები	დანართის თანმხლები დოკუმენტი	64 ც.	ტექსტური მასალა > დანართები > ტურისტები
SDMI - #2.2	კურორტოლოგიური კვლევის ანგარიში	დანართი	11 გვ.	ტექსტური მასალა > დანართები
SDMI - #2.3	ტურიზმისა და უძრავი ქონების მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები	დანართი	59 გვ.	ტექსტური მასალა > დანართები
SDMI - #2.4	ზოგადი საინჟინრო გეოლოგია	დანართი	36 გვ.	ტექსტური მასალა > დანართები
SDMI - #2.5	განვითარების ინდიკატორების მატრიცა	დანართი		ტექსტური მასალა > დანართები
SDMI - #2.6	წყალსადენის, წყალარინებისა და სანიაღვრე სისტემის არსებული მდგომარეობა და მისი რეაბილიტაციის კონცეპტუალური გადაწყვეტილება	დანართი	84 გვ.	გრაფიკული მასალა > დანართები
N	საბაზისო / თემატური რუკები	ნაწილი	რაოდენობა	დირექტორია
რუკა - #017	საბაზისო რუკა (1:10000)	დანართი	1 პლანშეტი	გრაფიკული მასალა > დანართები
რუკა - #018	საბაზისო რუკები სამეზობლოების დონეზე	დანართი	37 გვ.	გრაფიკული მასალა > დანართები
რუკა - #019	ორთოფოტო განახლებული საზღვრებით	დანართი	1 გვ.	გრაფიკული მასალა > დანართები
რუკა - #020	საზღვრების რუკა განახლებული სამეზობლოები	დანართი	1 გვ.	გრაფიკული მასალა > დანართები
რუკა - #021	სართულიანობის რუკები უბნების დონეზე	დანართი	5 გვ.	გრაფიკული მასალა > დანართები
რუკა - #022	შენობების ფუნქციური გამოყენების რუკები სამეზობლოების დონეზე	დანართი	5 გვ.	გრაფიკული მასალა > დანართები

საქართველო, თბილისი, ბაგები, 0162, ზურაბ საკანდელიძის 6

რუკა - #023	შენიშვნების ფიზიკური მდგომარეობის რუკები უბნების დონეზე	დანართი	5 გვ.	გრაფიკული მასალა > დანართები
რუკა - #024; #025; #026.	სიმჭიდროვეების რუკები, კ1, კ2, კ3 - კოეფიციენტები	დანართი	15 გვ.	გრაფიკული მასალა > დანართები
რუკა - #027	მიწათდაფარულობის რუკები უბნების დონეზე	დანართი	5 გვ.	გრაფიკული მასალა > დანართები
რუკა - #028	საკუთრების ტიპების რუკები სამეზობლოების დონეზე	დანართი	5 გვ.	გრაფიკული მასალა > დანართები
რუკა - #029	საზღვრების რუკა	დანართი	1 გვ.	გრაფიკული მასალა > დანართები
რუკა - #030	#030.1 - ზონირების, ღონისძიებებისა და კადასტრის სინთეზური რუკა; #030.2 - ზონირებისა და კადასტრის სინთეზური რუკა; #030.3 - კერძო ინიცირების ღონისძიებები და საკუთრების რუკა; #030.4 - მიწის ნაკვეთის საკუთრების ფორმები.	დანართი	4 გვ.	გრაფიკული მასალა < დანართები



 მ. თ. ...

პატივისცემით,

ინსტიტუტი ადმინისტრაცია

აღმასრულებელი დირექტორი მ. ოლქიშვილი

საქართველო, თბილისი, ბაგეზი, 0162, ზურაბ საკანდელიძის 6

☎ : 0322 05 24 05 | info@sdmi.ge | sdmi.ge

ოქმი N2

22.10.2020წ.

14:00 სთ.

კრების ადგილი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია;

კრებას თავმჯდომარეობდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ბიძინა იმნაიშვილი;

კრების მდივანი: ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილების წამყვანი სპეციალისტი სალომე ზენაიშვილი;

კრებას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის შემუშავების კონკურსში გამარჯვებული კომპანია ა.(ა)ი.პ საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის ინსტიტუტის წარმომადგენლები: ვახტანგ ჯოხაძე - სივრცითი დაგეგმარების ექსპერტი, ურბანისტი, არქიტექტურის მაგისტრი პროექტის ხელმძღვანელი; ლადო ვარდოსანიძე - არქიტექტურის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრი, პროფესორი - სივრცითი დაგეგმვის ხელმძღვანელი; მარიამ ოლქიშვილი - საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის მაგისტრი პროექტის აღმასრულებელი დირექტორი და ასევე გრიგოლეთისა და წყალწმინდის მოსახლეობის წარმომადგენლები, უძრავი ქონების მფლობელები, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები.

შეხვედრის მიზანი: გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის კონცეფციის განხილვა და წარმოდგენილ მასალასთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმა.

დღის წესრიგი : გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის კონცეფციის განხილვა;

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა და სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის მნიშვნელობაზე ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ბატონმა ბიძინა იმნაიშვილმა.

განაშენიანების გეგმის კონცეფციის ზოგადი მიმოხილვა გააკეთა ბატონმა ვახტანგ ჯოხაძემ.

გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის კონცეფცია, სანაპირო ზოლის განვითარების ძირითადი ხედვები დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ბატონმა ლადო ვარდოსანიძემ.

განაშენიანების გეგმის უფლებრივ ნაწილზე, ტერიტორიის გამოყენების რეგლამენტსა და ზონებზე ისაუბრა ბატონმა ვახტანგ ჯოხაძემ.

მოხსენებების შემდეგ, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა:

ბატონმა შუქრი თავართქილაძემ განაცხადა, რომ განაშენიანების გეგმაში მკვეთრად უნდა გამოიკვეთოს მშენებლობისათვის აკრძალული ზონის საზღვრები და განისაზღვროს სანაპიროს პირველ ზოლში დაბალ სართულიანი განაშენიანება. ასევე ბატონმა შუქრიმ ისაუბრა სანაპირო ზოლის შენარჩუნების ღონისძიებებზე.

საკრებულოს დეპუტატმა ღრმალელის ადმინისტრაციული ერთეულიდან ბატონმა კახა თედორაძემ განაცხადა, რომ სასურველი იქნება თუ განაშენიანების გეგმაში გათვალისწინებული იქნება სათევზაო ადგილებისა და ინფრასტრუქტურის მოწყობა. ასევე ბატონმა კახამ ყურადღება გაამახვილა, იმაზე, რომ პრობლემას წარმოადგენს წყალწმინდიდან ზღვაზე გასავლელი გზების არ არსებობა.

ბატონმა ბიძინა იმნაიშვილმა დააყენა კანალიზაციის ქსელის მოწყობის ალტერნატიული ვარიანტი ქ. ფოთის გამწმენდ სადგურთან დაერთების პერსპექტივით.

საკრებულოს დეპუტატმა ბატონმა ბესიკ კუპრაძემ გამოთქვა უარყოფითი შეფასება გრიგოლეთის სანაპირო ზოლის ნაწილზე პლაჟზე დაყრილი ბალასტის გამო,

სასტუმრო „ვილა რეტას“ მეპატრონემ ბატონმა რეზო ხონელიძემ განაცხადა რომ განაშენიანების გეგმით ძირითადი აქტივობები დაგეგმილია ყვავილნარის მიმართულებით და არ არის გათვალისწინებული ღონისძიებები მალთაყვის მიმართულებაზე.

უძრავი ქონების მეპატრონე ვახტანგ კუკულაძე დაინტერესდა თუ განვითარების რა პერსპექტივა იქნება მის საკუთრებას განაშენიანების გეგმის მიხედვით, რა ტიპის განაშენიანება იქნება შესაძლებელი ყვავილნარის გამწვანებულ ტერიტორიაზე.

კერძო კომპანიის დირექტორმა ვანო დობორჯგინიძემ ისაუბრა მისი კომპანიის მიერ ყვავილნარში კომპანიის კუთვნილ მიწის ნაკვეთში დაგეგმილი თევზის საშენი მეურნეობის შესახებ და აღნიშნა, რომ არ იგეგმება არავითარი გადამამუშავებელი საამქროს მშენებლობა, გათვალისწინებული იქნება გარემოს დაცვის ყველა სტანდარტი და თხოვა რომ გაითვალისწინონ ტერიტორიის ამ მიმართულებით განვითარება, შეთანხმდნენ, რომ დაგეგმილი საქმიანობის მთლიანი სურათის დასანახად დამგეგმარებელ კომპანიას მიაწოდებს დამატებით მასალებს.

საკრებულოს დეპუტატის ბატონი ალექსანდრე მახათაძის შეკითხვა ეხებოდა განაშენიანების გეგმის კონცეფციის საკრებულოს მიერ დამტკიცების პროცედურასა და ვადებს.


უძრავი ქონების მეპატრონე ბესიკ წულაძე დაინტერესდა თუ როდის იქნება შესაძლებელი დროებით შეჩერებული მშენებლობის ნებართვების გაცემა.

შეხვედრის დასასრულს, მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ გეგმარებითი ტერიტორიის განაშენიანების გეგმის შემუშავების პროცესში საპროექტო ჯგუფთან აქტიურად

ითანამშრომლებენ, ხოლო დამგეგმარებელი ჯგუფი დაინტერესებული მხარეების ყველა წარმოდგენილ შეკითხვასა და წინადადებას განიხილავს და შესაძლებლობის ფარგლებში გაითვალისწინებს. რაც შეეხება ნებართვებს, როდესაც მიწის ნაკვეთების განვითარების ძირითადი პარამეტრები იქნება ცნობილი განახლდება ახალი რეგულაციების გათვალისწინებით ნებართვების გაცემა.

კრების თავმჯდომარე

ბიძინა იმნაიშვილი



კრების მდივანი

სალომე ზენაიშვილი



ოქმი N1

14.07.2020წ.

16:00 სთ.

კრების ადგილი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია;

კრებას თავმჯდომარეობდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი;

კრების მდივანი: ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილების წამყვანი სპეციალისტი ნათია ორაგველიძე;

კრებას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები; სოფელ გრიგოლეთის მოსახლეობა; ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის შემუშავების კონკურსში გამარჯვებული კომპანია ა.(ა)ი.პ საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის ინსტიტუტის წარმომადგენლები;

დღის წესრიგი : 2020 წლის 19 მაისს გაფორმებული N93-ე ხელშეკრულების ფარგლებში, პირველი ეტაპის მოსამზადებელი კვლევის შედეგების: ხედვის განაცხადის, სტრატეგიის განაცხადისა და სტრატეგიული გარემოს დაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშის მოსმენა;

გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განვითარების ხედვა და სტრატეგია დამსწრე საზოგადოებას კონკურსში გამარჯვებული კომპანიის სივრცითი დაგეგმვის ხელმძღვანელმა, ურბანისტმა, სივრცითი დაგეგმვის ექსპერტმა, ლადო ვარდოსანიძემ გააცნო.

ასევე სტრატეგიული გარემოს დაცვითი შეფასების - სკოპინგის ანგარიში წარმოადგინა დამგეგმარებელი ჯგუფის მთავარმა სპეციალისტმა, ეკოლოგმა, გარემოს დაცვის ექსპერტმა მამუკა გვილაგამ ;

მოხსენებების შემდეგ, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. გამოითქვა მოსაზრებები წარმოდგენილი ხედვისა და სტრატეგიის შესახებ. აღინიშნა ისიც რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია კვლევის საწყის ეტაპს წარმოადგენს და საბოლოო დოკუმენტში ყველა მხარის ინტერესი მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული.

პროექტზე მომუშავე ორგანიზაციის, სივრცითი დაგეგმვის ხელმძღვანელმა, ბატონმა ლადო ვარდოსანიძემ, დამსწრეებს, ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ ვადებში, დამატებითი კითხვების, ხედვებისა და მოსაზრებების წარდგენა შესთავაზა. სახელდობრ:

- გეგმის კონცეფციის განხილვისა და დამტკიცების ადმინისტრაციული წარმოების ვადები (სავარაუდო) - 30.08.2020-დან არაუმეტეს 40 სამუშაო დღე;
- გეგმის პროექტის განხილვისა და დამტკიცების ადმინისტრაციული წარმოების ვადები (სავარაუდო): 19.10.2020 - არაუმეტეს 40 სამუშაო.

გრიგოლეთის მოსახლეობის წარმომადგენელთა მხრიდან, გასულ წლებში - გრიგოლეთის სანაპირო ზოლზე ინერტული მასალის დაყრასთან დაკავშირებით, შემფოთება გამოითქვა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, პრობლემის მოსაგვარებლად, საპროექტო ჯგუფთან ითანამშრომლებენ.

დამსწრეებმა წარდგენილი მასალის მიმართ ინტერესი გამოიჩინეს და მოხსენების ძირითადი დებულებები დადებითად შეაფასეს.

შეხვედრის დასასრულს, მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ გეგმარებითი ტერიტორიის განაშენიანების გეგმის შემუშავების პროცესში საპროექტო ჯგუფთან აქტიურად ითანამშრომლებენ, ხოლო დამგეგმარებელი ჯგუფი დაინტერესებული მხარეების ყველა წარმოდგენილ შეკითხვასა და წინადადებას განიხილავს.

კრების თავმჯდომარე

ალექსანდრე სარიშვილი



კრების მდივანი

ნათია ორაგველიძე



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories,
Labour, Health and Social Affairs of Georgia



KA030178223520620

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/18369

24 / დეკემბერი / 2020 წ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ბიძინა იმნაიშვილს

ბატონო ბიძინა,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსითა“ და „გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბერის № 420 დადგენილებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, განიხილა „გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიში“ და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციის სამუშაო ვერსია.

გიგზავნით დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დასკვნას თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე.

პატივისცემით,

პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად



გიორგი ჭავჭავაძე



საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health



KA030661587870120

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/5191

18 / დეკემბერი / 2020 წ.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან
დევნოლა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის პირველ
მოდგილეს
ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (შემდგომში-ეროვნული ცენტრი) განიხილა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიმდინარე წლის 9 ნოემბერს გადმოგზავნილი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის განცხადება თანდართული „გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიში“ და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციის სამუშაო ვერსია“, რაზედაც მოგახსენებთ შემდეგს:

გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმა შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს კანონების „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ და „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“, ასევე „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის № 260 დადგენილების და „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ეროვნული ცენტრის მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის და „გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბერის №420 დადგენილებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განხილულ იქნა მოწოდებული მასალა.

გთხოვთ, იხილოთ დანართის სახით, ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში განხილვის შედეგები და რეკომენდაციები „გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშთან მიმართებით.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად



ამირან გამყრელიძე



საქართველო 0198, ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი #99, ტელ : 116 001 (180); ელ.ფოსტა: ncdc@ncdc.ge; ვებ-გვერდი: www.ncdc.ge
99 Kakheti Highway, Tbilisi, 0198, Georgia; Phone: 116 001 (180) E-mail: ncdc@ncdc.ge; web: www.ncdc.ge

“გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშზე“

დასკვნა

დამგეგმავი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

შემსრულებელი საკონსულტაციო ორგანიზაცია : შპს ნიუ სითი დეველოპმენტ და შპს
თავისუფალი არქიტექტორები

დამტკიცებაზე პასუხისმგებელი: ქ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

ანგარიშის წარმდგენი: ა(ა)იპ საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის
ინსტიტუტი, სივრცითი დაგეგმვის ცენტრი

დამფინანსებელი: გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში

გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმა შესაბამისობაში
უნდა იყოს საქართველოს კანონების „საქართველოს სივრცის დაგეგმარების,
არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ და „კურორტებისა და
საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“, ასევე “სივრცის
დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ”
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების და
„ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი
დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261
დადგენილების მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ეროვნული ცენტრის მიერ „გარემოსდაცვითი
შეფასების კოდექსი“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის და “გარემოსდაცვითი
შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების წესის
დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბერის №420
დადგენილებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განხილულ იქნა
მოწოდებული მასალა.

გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის სივრცით-ტერიტორიულ განვითარებაში მნიშვნელოვანია დაგეგმილი ღონისძიებების განსახორციელებლად სკოპინგის დოკუმენტთან ერთად წარმოდგენილი განაშენიანების გეგმის (კონცეფცია) დამტკიცება.

„გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიში“-ს შეფასებისათვის სოციოლოგიურ/დემოგრაფიული, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მიმართულებით, ცენტრის კომპეტენციიდან გამომდინარე, განისაზღვრა ძირითადი პრიორიტეტები, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესაფასებლად გამოიყენება - ჰაერის დაბინძურების, წყლის დაბინძურების (მ.შ. ზღისა და მასში ჩამდინარე მდინარეები/წყლები, სასმელი და საბანაო წყლები, წყლის ეკოსისტემა და ჰაბიტატების ჯანმრთელობა), ადექვატური სანიტარიის, ჯანმრთელი ცხოვრების წესის ხელშეწყობის, დასაქმების, საერთო სარგებლობის მწვანე სარეკრეაციო არეალებზე ხელმისაწვდომობის, რადიაციული უსაფრთხოების, მოსახლეობის დაცვის ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ფაქტორების ზემოქმედების დონის ჰიგიენური ასპექტები, სამედიცინო სერვისებზე ((რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკავშირდება გადამდები და არაგადამდები დაავადებების განვითარებას) ხელმისაწვდომობის დონე) და გამოყენებული იქნა ორი ინსტრუმენტი:

1. წარმოდგენილი ინფორმაციის კვლევების/ მტკიცებულებების შეფასება.
2. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე პრიორიტეტული ზემოქმედების ფაქტორების იდენტიფიცირება და შესაბამისი დასკვნის მომზადება.

გარდა ამისა, დასკვნის მოსამზადებლად გამოყენებულ იქნა საქართველოში მოქმედი კანონები, ხელშეკრულებები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, და საერთაშორისოდ აღიარებული დოკუმენტები, კერძოდ:

საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“.

საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“

საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი კოდექსი“

საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“

საქართველოს კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“

საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“

საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“;

საქართველოს კანონი „მდინარეთა ნაპირების რეგულირების შესახებ“;

საქართველოს კანონი „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“

საქართველოს კანონი „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“

საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“;

კონვენცია „ევროპის დაცული ლანდშაფტების შესახებ“

კონვენცია „ტრანსსასაზღვრო წყლებისა და საერთაშორისო ტბებისა დაცვისა და გამოყენების“ შესახებ ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგია.

„საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2015 წ.

UNITED NATIONS ECONOMIC COMMISSION FOR EUROPE (UNECE). Resource Manual to Support Application of the Protocol on Strategic Environmental Assessment.

UNITED NATIONS. New York and Geneva, 2012; GUIDELINES ON PRACTICAL APPLICATION OF STRATEGIC ENVIRONMENTAL ASSESSMENT IN GEORGIA. OECD, UNEP, UNECE and UNIDO. 2016; NHS. London Healthy Urban Development Unit. Rapid Health Impact Assessment Matrix. 2017;

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სახელმძღვანელო დოკუმენტები <https://www.who.int/hia/en/> ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად შემუშავებული სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, ტექნიკური რეგლამენტები, სხვადასხვა სექტორალური სტრატეგიები და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციები.

ასევე, განხილულ იქნა ის სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებიც აღნიშნულ სტრატეგიულ დოკუმენტთან არის მიმართებაში წარმოდგენილი სგმ ანგარიშის შესაბამისად:

- „გურიის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2015-2021 წლებისთვის“;
- „კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმა“;
- „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა“;

- „კურორტ გრიგოლეთის სანიტარიული დაცვის ზონების პროექტი“ (2019, სამუშაო ვერსია);
- “ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქმშენებლობითი გეგმები”;
- „ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მალთაყვის უბნის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმა“;
- „სანაპირო სოფელ გრიგოლეთის 2019-2023 წლების მდგრადი განვითარების ინტეგრირებული გეგმა“, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019.09.27 განკარგულება;
- „სანაპიროს მდგრადი განვითარების ინტეგრირებული გეგმა წყალწმინდის თემისათვის“;
- „საქართველოს სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგია“, სამუშაო ვერსია;
- „სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის შესახებ“, კანონპროექტის სამუშაო ვერსია.

წარმოდგენილი პრიორიტეტული ინსტრუმენტების, საკანონმდებლო-ნორმატიული დოკუმენტების და მიმართებაში არსებული სტრატეგიული დოკუმენტების განხილვის საფუძველზე, მომზადდა შენიშვნები და შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება შემდგომი ეტაპისთვის მნიშვნელოვანია.

შენიშვნები და კომენტარები სკოპინგის ანგარიშზე

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში საკმაოდ კარგად არის მოცემული ინფორმაცია კვლევების ჩატარების საჭიროების შესახებ სხვადასხვა მიმართულებით, მნიშვნელოვანია სკოპინგის ანგარიშის დოკუმენტში ასახული იყოს მეტი დეტალიზაცია განაშენიანების განვითარების ეტაპზე ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ფაქტორების შესახებ. შესაბამისად წარმოგიდგენთ, დოკუმენტზე ამ მიმართულებით შენიშვნებსა და კომენტარებს და შესაბამის რეკომენდაციებს:

1. დემოგრაფია და დასაქმება

წარმოდგენილი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დოკუმენტი არ იძლევა დეტალურ ინფორმაციას განაშენიანების ტერიტორიაზე კერძოდ, გროგოლეთის და ყვავლინარის სანაპირო ზოლის, მოსახლეობის დემოგრაფიული და ჯანმრთელობის მდგომარეობის (გადამდები და არაგადამდები დაავადებების შესახებ მონაცემები) შესახებ. რაც, თავის მხრივ, მოგვემდგა განსჯის საფუძველს განაშენიანების შემდეგ ეტაპზე ჯანმრთელობის რა რისკებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება საბაზისო მონაცემების გათვალისწინებით.

წარმოდგენილ სგშ სკოპინგის ანგარიშში მოცემულია მონაცემები გურიის რეგიონის დასაქმების შესახებ, რითაც ირკვევა, რომ რეგიონი დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასის და ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით ქვეყნის მასშტაბით ყველაზე დაბალ ადგილს იკავებს (გვ.12), და მნიშვნელოვნად ჩამორჩება მეზობეკლ რეგიონებს - აჭარა და სამეგრელო-ზემო სვანეთი, რომლებსაც ტურისტული და ინდუსტრიული პოტენციალი გააჩნიათ. თუმცა აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის სანაპირო ზოლი, გრიგოლეთისა და ურეკის ჩათვლით, საკურორტო ზონას მიეკითვება და განაშენიანების განვითარება პირდაპირ იქონიებს გავლენას დასაქმებაზე. დოკუმენტში მოყვანილია ზოგადი ინფორმაცია დასაქმების გაზრდის შესახებ ტურისტული ინფრასტრუქტურის (მ.შ. რესტორნებისა და სასტუმროების მშენებლობის) ფონზე, თუმცა არ არის დეტალურად გაანალიზებული განვითარების შედეგად რა მასშტაბით გაიზრდება ამ ტიპის ინფრასტრუქტურა და დაახლოებით რა ოდენობის დასაქმების ადგილებს შექმნის. ასევე, აუცილებელია დეტალური ანალიზი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მიმართულებით და განაშენიანების შემდეგ რა დადებით ცვლილებას უნდა ველოდეთ დასაქმების/თვითდასაქმების მიმართულებით. დოკუმენტში განხილულია ფერმერთა/ბიზნეს ოპერატორთა განათლების ამდღეობის საჭიროების შესახებ, თუმცა არ არის მოცემული კონკრეტული გეგმები/სქემები ამ მიმართულებით განათლების ხელშეწყობის შესახებ, რაც დასაქმებასთან პირდაპირ კავშირშია.

2. სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა

წამოდგენილი დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ განაშენიანების ტერიტორიაზე (გრიგოლეთი და ს. წყალწმინდა) სამედიცინო დაწესებულება არ არის და მხოლოდ 8 კმ-ის დაშორებითაა. განაშენიანების განვითარების ეტაპზე, იგეგმება სასტუმროს შენობაში პირველადი დახმარების სამედიცინო პუნქტის განთავსება, თუმცა არ არის ინფორმაცია მოცემული რა ტიპის სერვისებზე იქნება გათვლილი, როგორ იფუნქციონირებს (გაუწევს თუ არა ადგილობრივ მოსახლეობას სამედიცინო სერვისს და როგორ დააკმაყოფილებს ინფრასტრუქტურა სამედიცინო სერვისების მომწოდებელთათვის დადგენლ სტანდარტებს). ვინაიდან განაშენიანების ტერიტორია არის ტურისტული ზონა, მნიშვნელოვანია აფთიაქების არსებობა როგორც ადგილობრივი, ასევე დამსვენებელთა ხელმისაწვდომობის მიზნით. ამიტომ, მიზანშეუხონილია განაშენიანების ეტაპზე სამედიცინო სერვისებისა და სააფთიაქო ქსელის განვითარებას მიექცეს ყურადღება, რაც დასაქმებასაც შეუწყობს ხელს.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებები

წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის მიხედვით, კურორტ გრიგოლეთისა და სოფელ წყალწმინდის გეგმარებით არეალში არ გვხვდება

საგანმანათლებლო დაწესებულებები. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, გრიგოლეთში ფუნქციონირებს დაწყებითი სკოლა, თუმცა არ არის საბავშვო ბაღი. დოკუმენტში მოწოდებულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მიმდინარე წელს დაგეგმილია 3 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მშენებლობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, თუმცა ბუნდოვანია, რა სახის ღონისძიებების გატარება იგეგმება ამ კონკრეტული პრობლემის მოგვარების მიზნით გრიგოლეთის ტერიტორიაზე, კერძოდ მოხდება თუ არა საბავშვო ბაღების მშენებლობა.

მნიშვნელოვანია, დოკუმენტში აისახოს ტერიტორიის განაშენიანების დროს სხვადასხვა ინტენსივობის მქონე საცხოვრებელ ზონებში სამომავლოდ გათვალისწინებული იქნება თუ არა სარეკრეაციო სივრცეები, ჯანდაცვის და სპორტის ობიექტები, სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულებები, ხომ არ დაირღვევა შესაბამისი ზონირების პრინციპი და განთავსდება რაიმე სახის ობიექტი, რომელიც ზიანს მიაყენებს გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას, ან/და განთავსდება სამეწარმეო ობიექტი, რომელიც დაარღვევს სამეზობლო თემის პრინციპებს;

ზემოაღნიშნულის უფრო მეტად დეტალური შეფასება, რომელიც არ არის წარმოდგენილი, საშუალებას მოგვცემდა, გაგვეანალიზებინა, როგორია/როგორი იქნება ხელმისაწვდომობა:

- საერთო სარგებლობის მწვანე სარეკრეაციო არეალებზე;
- მომავალში სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულებების არსებობის შემთხვევაში მათ შესაბამისობაზე მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებთან, ნაკვეთებისა და ღია სპორტული მოედნების შესახებ, რა საჭიროებები გამოიკვეთება სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულებების შექმნისათვის.

4. ადაპტირება შშმ პირთა მოთხოვნებთან

კურორტ გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განვითარების ხედვის ნაწილში შშმ პირების მოთხოვნების ადაპტირების ჭრილში აღნიშნულია, რომ: „განვითარებულია შშმ პირების საჭიროებებზე ორიენტირებული საზოგადოებრივი სივრცეებისა და სარეკრეაციო კეთილმოწყობილი სისტემა“, თუმცა, სკოპინგის დოკუმენტის ნაწილში არ გვხვდება ამ შინაარსის მქონე ინფორმაცია.

მიზანშეწონილია, ხედვაში უფრო დეტალურად მოხდეს აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში დაგეგმილი ღონისძიებების ასახვა.

5. წყალმომარაგება და სანიტარია

წარმოდგენილი მასალების შესაბამისად, გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის წყალმომარაგების სისტემა პრაქტიკულად არ არსებობს. ქაოტურად განლაგებული კოტეჯებისა და სასტუმროების წყალმომარაგება ხორციელდება ჭებიდან

და ჭაბურღილებიდან. საყურადღებო და საგანგაშოა ის ფაქტი, რომ კოტეჯებიდან და სასტუმროებიდან გამომავალი კანალიზაციის წყლები იკრიბება კუსტარულად დამზადებულ ჭებში, დარღვეულია სასმელი ჭებისა და კანალიზაციის შემკრები ჭების დაშორების სანიტარული ნორმები. როგორც გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის წყალმომარაგება-წყალარინების სისტემების პროექტირების პირველ ეტაპზე აღინიშნა სანაპირო ზოლის წყალმომარაგების ალტერნატიულ და რენტაბელურ წყაროდ განიხილება სოფელ წვერმაღალაში არსებული 6000 მ³ ტევადობის რეზერვუარი. (რეზერვუარის წყლით შევსება ხდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ლაითურიდან და წვერმაღალაში არსებული სატუმბო სადგურიდან). განსაკუთრებით საყურადღებო და საგანგაშოა ის ფაქტი, რომ კოტეჯებიდან და სასტუმროებიდან გამომავალი კანალიზაციის წყლები იკრიბება კუსტარულად დამზადებულ ჭებში, დარღვეულია სასმელი ჭებისა და კანალიზაციის შემკრები ჭების დაშორების სანიტარული ნორმები.

6. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება

ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შეფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ადამიანის ჯანმრთელობისთვის, ასევე ბიოლოგიური მრავალფეროვნებისთვის. წარმოდგენილ პროექტში ჰაერის ხარისხის შესახებ არსებული მონაცემები საერთოდ არ არის მოცემული, რაც ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების დეტალური ანალიზის განხორციელების საშუალებას არ იძლევა. მნიშვნელოვანია, რომ დაიგეგმოს და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში აისახოს მონიტორინგის მონაცემები ჰაერის კონკრეტულ დამაბინძურებლებზე (მყარი ნაწილაკები - PM10, PM2.5, აზოტის ჟანგეულები, მიწისპირა ოზონი, გოგირდის დიოქსიდი).

ქვეყნის მასშტაბით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვან წყაროდ გვევლინება არსებული შიდა წვის ძრავიანი ავტოტრანსპორტი, რომელთა უმრავლესობა გაუმართავია. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტში ჰაერის ხარისხის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის, სავარაუდოა, რომ სწორედ გრიგოლეთზე გამავალი ავტომარშრუტი იქნება ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროდ. შესაბამისად, პროექტის დადებით მხარეზე მიუთითებს მაგისტრალთან დაკავშირებული ალტერნატივების შემოთავაზება, რომელთა განხორციელების შემთხვევაში, აიკრძალება სატვირთო ავტომობილების მოძრაობა გრიგოლეთის გავლით. თუმცა რეკომენდებულია, რომ სგმ დოკუმენტი მოიცავდეს საავტომობილო გზის არსებული და დაგეგმილი ალტერნატივების დეტალურ ანალიზს, რათა შესაძლებელი იყოს ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასება.

ცნობილია, რომ საქართველოში მაღალია შენობისშიდა ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი, თუმცა წარმოდგენილ პროექტში არ არის გაანალიზებული რა ტიპის

საწვავი გამოიყენება შინამეურნეობებში საკვების მომზადებისა და გათბობის მიზნით. ამას გარდა, მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის ჩარჩო კონვენციით განსაზღვრული პრინციპების ამოქმედება, რაც გულისხმობს როგორც საკუთარ სახლში, ასევე - სახლს გარეთ თამბაქოსაგან თავისუფალი ადგილების შექმნას და სასურველია, პროექტში აისახოს ჯანმრთელობის რეკომენდაციებთან შესაბამისობა ამ მიმართულებით.

პროექტში შემოთავაზებული განვითარების ხედვების განხორციელებამ შესაძლოა გამოიწვიოს ატმოსფერულ ჰაერში ემისიების და ხმაურის გავრცელება. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაიგეგმოს სამომავლოდ ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგი და საბოლოო ანგარიშში აისახოს სტაციონარული და/ან ინდიკატორული გაზომვების მონაცემები შემდეგ დამაბინძურებლებზე: (მყარი ნაწილაკები - PM10, PM2.5, აზოტის ქანგულეები, მიწისპირა ოზონი, გოგირდის დიოქსიდი). ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია „მწვანე ქალაქის“ და ენერგოეფექტურობის პრინციპების დანერგვა საბინაო სექტორში და სხვა შენობა ნაგებობების მშენებლობის პროცესში, ისევე როგორც მნიშვნელოვანია, ქალაქისათვის განისაზღვროს ატმოსფერული ჰაერის გაუმჯობესების ღონისძიებები, გეგმის ამოქმედების მონიტორინგის ინდიკატორები და შერბილების ღონისძიებები.

7. ხმაური

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყარო ტრანზიტული საგზაო მაგისტრალია. თუმცა დოკუმენტში ასახული არ არის მონაცემი ხმაურის გაზომვის და შეფასების შესახებ. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი განაშენიანება ან/და სატრანსპორტო ქსელთან (გზებთან) დაკავშირებული ცვლილებები ისე უნდა იქნას დაგეგმილი, რომ მაქსიმალურად შემცირდეს ხმაურის დონე, რისთვისაც ხმაურის მუდმივი მონიტორინგი, გაზომვა და შეფასება აუცილებელია.

8. ელექტრომაგნიტური ველი და რადიაცია, რადიაციული ობიექტები

დოკუმენტში ზოგადად არის ნახსენები ელექტრომაგნიტური გამოსხივების შესახებ კვლევის ჩატარების საჭიროებაზე, იმ შემთხვევაში თუ განაშენიანების ეტაპზე გაიზრდება საკომუნიკაციო საშუალებებზე მოთხოვნა, თუმცა მიზანშეწონილია, დეტალური ინფორმაციის მოწოდება განაშენიანების განვითარებისას რამდენად გაიზრდება ელექტრომაგნიტური საკომუნიკაციო საშუალებები და როგორ იქნება დაცული კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმები მათი ინსტალაციის, დასახლებულ ტერიტორიებთან დაშორების და ზღვრულად დასაშვები გამოსხივების შესახებ. მნიშვნელოვანია, ბუნებრივი რადიაციული ფონის კვლევის ჩატარება და შედეგების ანალიზი ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მიმართულებით. აუცილებელია,

რადიაციული ობიექტების შესახებ დეტალური მონაცემების მოწოდება და მათთან დაკავშირებული ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ეფექტების გაანალიზება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

9. ნარჩენების მართვა

წარმოდგენილ სგშ-ს სკოპინგის ანგარშში ნარჩენებთან მიმართებაში ბევრი ასპექტია განხილული, როგორცაა ზღვის წყლის ჩამდინარე წყლებით დაბინძურება, საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო, ასევე საკანალიზაციო ნარჩენების მართვა/უტილიზაცია, პლაჟების და სანაპირო ზოლის გასუფთავება და მონიტორინგი.

წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარების დოკუმენტში და განაშენიანების გეგმაშიც ინფორმაცია ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით არის ძალიან ზოგადი. დოკუმენტი არ იძლევა ინფორმაციას, რა ტიპის ნარჩენი და რა რაოდენობით წარმოიქმნება, როგორია მისი მართვის მექანიზმი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მოქმედებს ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმა, იგი საჭიროებს განახლებას, თუმცა არ არის მითითებული კონკრეტულად რა მიმართულებით და რა სქემებით.

დოკუმენტი არ იძლევა კვლევისა და შეფასებით მონაცემებს განაშენიანების განვითარების და შემდგომ, პროექტის განხორციელების ეტაპებზე, ნარჩენების გენერირების და მართვის შესახებ, კერძოდ, რა რაოდენობით ნარჩენების წარმოქმნას უნდა ველოდოთ თითოეულ ეტაპზე, და რამდენად განსხვავდება ეს მონაცემები საბაზისო მონაცემებისაგან, როგორ უნდა დაიგეგმოს სხვადასხვა ტიპის ნარჩენების შეგროვების, გატანის და უტილიზაციის ღონისძიებები, როგორ მოხდება პლაჟის და სანაპირო ზოლის გასუფთავება და მონიტორინგი. მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების და საკანალიზაციო ნარჩენების მართვის მკაცრად გაწერილი გეგმის შემუშავება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საბაზისო კვლევის მონაცემების მოწოდება და პროგნოზული მაჩვენებლების და გეგმების შემუშავება ყველა ტიპის ნარჩენის მართვასთან მიმართებაში სივრცით დაგეგმარების ტერიტორიაზე.

10. კლიმატის ცვლილება, ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერჯია.

წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის საკმარისი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ დაგეგმილი ღონისძიებები რამდენად შეუწყობს ხელს ატმოსფეროში სათბურის გაზების ემისიის შემცირების ფაქტორს, როგორც კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ მიმართული გლობალური ქმედების ნაწილი. ასევე, არ არის მოწოდებული კლიმატური ცვლილებების შედეგად გამოწვეული მოვლენების წინააღმდეგ მიმართული ქმედებების დეტალური გეგმა, რომელშიც გაწერილი უნდა იყოს სავარაუდო ხარჯი და სამუშაოთა მოცულობა. ეს შეეხება: კლიმატის ცვლილების და საშუალო ტემპერატურის ზრდის პირობებში ბუნებრივი საფრთხეების ზემოქმედების პრევენციას, შემცირებას და მართვას, (წყალდიდობები, წყალმოვარდნები, ბუნებრივი ან ადამიანის მიერ გამოწვეული სხვა

საფრთხეები); კლიმატის ცვლილების ზემოქმედებების ზოგად შეფასებას (ზღვის დონის აწევის გრძელვადიანი ზემოქმედებები საზღვაო კურორტზე/ტურიზმზე (კლიმატგონივრული ტურიზმის შესაძლებლობების შეფასება), კლიმატის ცვლილებებზე რეაგირება და სხვა. ასევე, კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციისა და ჯანმრთელობის ზიანის შემცირების ღონისძიებებს და მონიტორინგის ინდიკატორებს. ყოველივე ეს მოითხოვს დეტალიზაციას.

ანალოგიური შენიშვნა არსებობს ენერგოეფექტურობასა და განახლებადი ენერჯის გამოყენების საკითხთან მიმართებაშიც, რომელიც დოკუმენტშია ნახსენები. დეტალური გეგმებია საჭირო, თუ როგორ მოხდება ენერგოეფექტურობის პრინციპების დანერგვა საბინაო სექტორში და სხვა შენობა-ნაგებობებში, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს მშენებლობის პროცესში, განსაკუთრებით, ეს შეეხება ტურიზმის სექტორს. როგორ და რა რესურსებით მოხდება ენერჯის ალტერნატიული („ეკოლოგიური“) წყაროების (განსაკუთრებით, მზის) ფართოდ გამოყენება საზოგადოებრივი და კერძო საკუთრებაში არსებული შენობებისთვის (შინამეურნეობებში). როგორ იქნება რეალიზებული ენერგოდამზოგი მშენებლობები და რა მასშტაბით მოხდება განახლებადი ენერჯის გამოყენება, და რა რესურსებით.

11. ალტერნატივები და საბაზისო კვლევები

გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის კონცეფციაში შემოთავაზებულია, სივრცითი განვითარების გეგმარების გარკვეული ალტერნატივები, სადაც განხილულია ტურიზმის, რეკრეაციის და გასართობი ინდუსტრიის განვითარების შესაძლებლობები. ალტერნატივების განხილვისას, მიზანშეწონილია გაანალიზდეს და ჩატარდეს საბაზისო კვლევები, რათა დაცული იქნას ადგილობრივი მაცხოვრებლების და დამსვენებლების/ტურისტების ჯანმრთელობა. ყურადღება უნდა გამახვილდეს საბანაო და სასმელი წყლის ხარისხის მონიტორინგზე; გათვალისწინებულ იქნას ახალი კორონავირუსის საფრთხეები და ნარჩენების მონიტორინგის განხორციელების პერსპექტივები.

დასკვნები და რეკომენდაციები

აღსანიშნავია, რომ გარემოსდაცვითი შეფასებისათვის სტრატეგიული დოკუმენტის სკოპინგის ანგარიში უნდა შეიცავდეს დეტალურ გეგმებს (განხორციელების გზებით, რესურსებით და მოცულობით) შემდეგ პოზიციებზე (რომელიც უზრუნველყოფს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებას):

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების შედეგები, მათი თავიდან აცილება,

შემცირება, შერბილება და კომპენსაცია. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს, როგორც საქმიანობის განხორციელების, ისე შემდგომი ექსპლუატაციის ეტაპებს.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმებისა და ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების გაანგარიშება.

„მწვანე დასახლების“ და ენერგოეფექტურობის პრინციპების დანერგვას საბინაო სექტორში და სხვა შენობა-ნაგებობების მშენებლობის პროცესში, მ.შ. ტურიზმის, ენერჯის ალტერნატიული („ეკოლოგიური“) წყაროების (განსაკუთრებით მზის) ფართოდ გამოყენება საზოგადოებრივი და კერძო საკუთრებაში არსებული შენობებისთვის (შინამეურნეობებში). ენერგომომარების შერბილების ალტერნატივები ენერგოდამზოგი მშენებლობით, განახლებადი ენერჯის გამოყენებით.

ფეხით სიარულის, ველოსიპედის გამოყენების ხელშეწყობა (ინფრასტრუქტურის შექმნა/ტროტუარები, საფეხმავლო და ველო ბილიკები და სხვ.); მდგრადი „მწვანე“ ადგილობრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება.

ჰაერის ხარისხის ანალიზი და გაუმჯობესების გზები (მ.შ. სატრანსპორტო წყაროები); შენობისშიდა ჰაერის გაუმჯობესების შესაძლებლობები. ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგი.

კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციისა და ჯანმრთელობის ზიანის შემცირების ღონისძიებები, მონიტორინგის ინდიკატორები.

ბუნებრივი საფრთხეების ზემოქმედების პრევენცია, შემცირება და მართვა, (წყალდიდობები, წყალმოვარდნები, ბუნებრივი ან ადამიანის მიერ გამოწვეული სხვა საფრთხეები) კლიმატის ცვლილების და საშუალო ტემპერატურის ზრდის პირობებში.

კლიმატის ცვლილების ზემოქმედებების ზოგადი შეფასება: ზღვის დონის აწევის გრძელვადიანი ზემოქმედებები; ზემოქმედების შეფასება საზღვაო კურორტებზე/ტურიზმზე (კლიმატგონივრული ტურიზმის შესაძლებლობების შეფასება). კლიმატის ცვლილებებზე რეაგირება.

სატრანსპორტო კვანძ(ებ)ის გარემოსდაცვითი შეფასება. სახმელეთო ტრანსპორტის ნაკადების უარყოფითი ზემოქმედებების შეფასება. ავტომაგისტრალის და მისი ალტერნატივების ზემოქმედებების შეფასება, მათ შორის, ჰაერის ხარისხი, ხმაური და ვიბრაცია, უსაფრთხოება, სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად შესაძლო ინციდენტების განსაზღვრა და მათი შედეგების შეფასება, მათ შორის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირება. გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა.

გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონვას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;

დაგეგმილი საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ამ საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს მდგომარეობის აღდგენის საშუალებების შესახებ;

სამედიცინო სერვისების, მ.შ. სამკურნალო-გამაჯანსაღებელი საშუალებებით უზრუნველყოფის, საჭიროების ანალიზი. დეტალური გეგმა დაგეგმილი სამედიცინო პუნქტის მშენებლობის და გასაწევი მომსახურებების ჩამონათვალის ჩათვლით.

როგორც ცნობილია, საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის კურორტები **მალთაყვა-გრიგოლეთი-წყალწინდა-ურევი** განსხვავდება სხვა საზღვაო კურორტებისგან თავისი უნიკალური მაგნეტიტური ქვიშის სანაპიროთი. მაგნეტიტური ქვიშის პლაჟები შედგენილია მეოთხეული პერიოდის აკუმულაციური ნატანებისგან, რომელთაც ნაპირის გასწვრივ მიყვება მაგნეტიტურ-ქვიშიანივე დიუნების ზოლი - მუქი ნაცრისფერი, შავი, მოყვითალო-მონაცრისფრო წვრილი და თხელმარცვლოვანი ქვიშებით. ამ ქვიშების შემადგენლობაში შედის მრავალი შენაერთი, მათ შორის მაგნეტიტი, ტიტანომაგნეტიტი, პიროქსენები, შპატი, კვარცი და სხვ. მათ შორის ძირითადი შემადგენელია მაგნეტიტი და ტიტანომაგნეტიტი.

კურორტ გრიგოლეთის სანაპიროსაც მიყვება ქვიშიანი პლაჟის ფართო ზოლი. აქაც სანაპირო ქვიშა შეიცავს მაგნეტიტური რკინის ნაწილაკებს. პლაჟს მთელ სიგრძეზე მიყვება ჭალა „ბიჭვინთის ფიჭვის“ კორომი. ბიჭვინთის ფიჭვი, ერთადერთი, რომელიც მლაშე ბრიზს უძლებს, სრულიად თავისებურ მიკროკლიმატს ქმნის, რაც დადებით გავლენას ახდენს გრიგოლეთის საკურორტო ფაქტორებზე, განსაკუთრებით, პულმონოლოგიური და ფტიზიატრიული თვალსაზრისით.


საკითხს ართულებს ის, რომ ამ ეტაპისათვის სანიტარიული დაცვის ზონები (სდზ) არ არის დამტკიცებული კურორტ „გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლისათვის“. მიუხედავად ამისა, სდზ-ის დამტკიცებამდე და დამტკიცების შემდეგ და მასში გასატარებელი რეჟიმის სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების, სამკურნალო ქვიშის, ფიჭვნარისა და საკურორტო ტერიტორიების დაცვის, ასევე სანიტარიული დაცვის ზონებში ამკრძალავი ღონისძიებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანება და შემდეგ დაიგეგმოს/გადაწყდეს კურორტის ნებისმიერ ნაწილის განვითარება.

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს ტურიზმის ხელშეწყობა და ამ მიზნით სარეკრეაციო ტერიტორიების და საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარება. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია კურორტების და მათ შორის გრიგოლეთის და ყვავილნარის, როგორც კლიმატო-ბალნეოლოგიური პროფილის მქონე კურორტის ფუნქციონირება და სამომავლოდ განვითარება. ასევე, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული დაგეგმარების გათვალისწინებით მაღალი დონის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსების შექმნა. ამჟამად სარეკრეაციო ტერიტორიებზე სამშენებლო განვითარების მიზნით გაზრდილმა ინტერესმა შესაძლოა მნიშვნელოვანი და გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს კურორტს. წარმოადგენილ პროექტში აღნიშნულია ე.წ „წყლის ყვავილობის“ შესახებ, რაზედაც სამომავლოდ განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“- ს შესაბამისად სგშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგში აღნიშნული რეკომენდაციების, ჩასატარებელი საბაზისო კვლევების შედეგები და სრულყოფილი ინფორმაცია ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების მასშტაბის შესახებ, პოტენციური გარემოს რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირების და მათი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა კურორტის დაგეგმვის, განვითარებისა და მშენებლობის და ოპერირების ეტაპებზე.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი



ამირან გამყრელიძე



საქართველოს გაეროს და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1259

30/12/2020

ქ. თბილისი

გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმაზე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 25-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გაიცეს გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმაზე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნა;
2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ სგშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდსა და საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნა

სტრატეგიული დოკუმენტის დასახელება: გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმა;

დამგეგმავი ორგანო: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია;

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილ იქნა გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის სკოპინგის განცხადება და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია.

გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის კონცეფცია, თანდართული დოკუმენტაცია და სკოპინგის განცხადება, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ელ. ბმული-<https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/29222>), ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე და ოფიციალურ ვებგვერდზე.

სკოპინგის განცხადება მოიცავს ინფორმაციას როგორც დამგეგმავი და უფლებამოსილი ორგანოების შესახებ, ასევე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებით გათვალისწინებული პროცედურების თაობაზე, მათ შორის საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმზე.

დოკუმენტის თანახმად, გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის მიზანია აღნიშნული საკურორტო-სარეკრეაციო ზონისთვის საჭირო პირობების შექმნა, კერძო და საჯარო ინტერესების მაქსიმალური დაახლოება, ლანდშაფტის დაცვა და შემდგომი განვითარება.

განსახილველი ტერიტორია მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, გურიის რეგიონში, კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე, შავი ზღვის სანაპიროზე. გრიგოლეთის სანაპირო ზოლი გადაჭიმულია მალთაყვიდან (ქ. ფოთი) მდ. სუფსის შესართავამდე. სოფელ წყალწმინდის ყვავილნარის უბანი მდებარეობს სუფსის შესართავის მარცხენა ნაპირზე, ზღვის სანაპიროზე და ვრცელდება მუნიციპალიტეტის სამხრეთ საზღვრამდე. გრიგოლეთი და წყალწმინდა შეადგენენ იმ არეალს, რომლისთვისაც შემუშავდა განაშენიანების გეგმის კონცეფცია.

დოკუმენტში გეგმარებითი არეალის ზუსტი ფართობი მითითებული არ არის, თუმცა აღნიშნულია, რომ არეალი შესაძლებელია გაფართოვდეს სგმ-ის ანგარიშის მომზადების

ეტაპზე. წარმოდგენილი shp ფაილების თანახმად, ტერიტორიის მთლიანი ფართობი შეადგენს 3690491 კვ. მ-ს (369 ჰა).

გრიგოლეთი უშუალოდ ესაზღვრება კოლხეთის ეროვნული პარკის იმნათის უბანს, სადაც გრიგოლეთის ტორფნარი მდებარეობს. აღნიშნული არეალის ფარგლებში მდებარეობს ზურმუხტის ქსელის ტერიტორია.

გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის კონცეფცია მიზნად ისახავს, რომ აღნიშნული გეგმარებითი ერთეული წარმოადგენდეს ზღვისპირა საკურორტო-რეკრეაციული დასახლებების მაღალი სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის რეალიზების ერთ-ერთ პირველ მაგალითს.

ყველა არსებულ წინაპირობაზე დაყრდნობით, კონცეფციაში ჩამოყალიბებულია გეგმით წარმოდგენილ არეალში განსახორციელებელი ღონისძიებები:

- გრიგოლეთის ტერიტორიაზე საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანზიტო საავტომობილო გზის მონაკვეთის პრობლემის გადაჭრა;
- „მწვანე გზების“ რეალიზება - რომელიც ერთიან სისტემად შეკრავს კურორტისა და მულტირეგიონულ „მწვანე მობილობას“;
- საქვეითო ხიდის მოწყობა;
- სათავგადასავლო-სპორტული პარკის მოწყობა;
- საცხოვრებელი კომპლექსის განვითარება;
- „ყვავილნარში“ კემპინგის მოწყობა;
- საფესტივალო ღია სივრცის მოწყობა „ყვავილნარში“;
- მდ. სუფსის მარცხენა ნაპირზე ავტოტრეილერების პარკის მოწყობა;
- „ყვავილნარის“ აუთვისებელი საკურორტო პოტენციალის რეალიზების მიზნით საშუალო კლასის დაბალსართულიანი სასტუმროს მშენებლობა, ხოლო მაღალი კლასის სასტუმროს - „სუფსის კონცხი“ (Soupsa Cape) - აგება მდ. სუფსის შესართავთან, კონცხზე;
- სუფსის შესართავის მარჯვენა ნაპირის სიახლოვეს საკაბოტაჟო ტურისტული ნაოსნობისთვის ნავმისადგომის მოწყობა;
- არსებული ჰიდროქსელის რეაბილიტაცია - არამოტორიზებული ნაგებობის პალიასტომის ტბისა და მდ. ფიჩორის დათვალიერების მიზნით;
- აკვაპარკის მოწყობა.

გარდა ამ პროექტებისა, ჩამოთვლილია გეგმარებითი ტერიტორიის მიმდებარე არეალში დაგეგმილი შემდეგი გადაწყვეტები:

1. მსხვილი სავაჭრო ცენტრის განთავსება;
2. სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ საავტომობილო პარკინგის მოწყობა;
3. საცხენოსნო კლუბის მოწყობა;
4. გოლფ-კლუბის მოწყობა;
5. ჩოგბურთის კორტების მოწყობა;

გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის კონცეფციაში კურორტის განაშენიანების ღერძზე გამავალი საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანზიტო

საავტომობილო გზით (E-70) შექმნილი მდგომარეობის განმუხტვის ორი ალტერნატივაა შემოთავაზებული:

- აღნიშნული გზის სატვირთო ნაკადების გადატანა შემდეგი სქემით: ფოთი-სენაკი-სამტრედია-ლანჩხუთი-სუფსა-ბათუმი, რასაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის მშენებლობა, რომელიც 2021 წელს უნდა დასრულდეს.
- ინტენსიურ მონაკვეთზე მიწისქვეშა გვირაბის მშენებლობა, რომელიც გაატარებს ყველა სატრანზიტო და სატვირთო ნაკადს. ხოლო გვირაბის გადახურვის თავზე მოეწყობა შიდასაკურორტო „მწვანე ქუჩა“.

ველოტრანსპორტით მოსარგებლეებისათვის განხილულია ორი ვარიანტი, პირველი - ველოსიპედის ზოლი გზის გასწვრივ, იმ მგზავრებისთვის, ვინც ველოსიპედს შედარებით შორ მანძილზე მისასვლელ ტრანსპორტად იყენებს და მეორე - სპორტულ-სარეკრეაციო დანიშნულებით, ანუ ველობილიკების დაგეგმარება ზღვის მხარეს არსებულ სარეკრეაციო სივრცეებში, მათ შორის, ფიჭვის კორომთან.

კონცეფციით შემოთავაზებულია გრიგოლეთისა და ყვავილნარის წყალმომარაგების, წყალარინებისა და სანიაღვრე სისტემის კონცეპტუალური გადაწყვეტილება, რაც გულისხმობს წვერმაღალას რეზერვუარიდან გრიგოლეთისკენ წყალსადენის მილის და გრიგოლეთიდან შეკვეთილის გამწმენდი ნაგებობისკენ კანალიზაციის მილის გატარებას. კონცეფციის დონეზე ალტერნატიული გადაწყვეტილებები ჯერ არაა შემოთავაზებული, თუმცა ალტერნატივები შემოთავაზებული და განხილული იქნება გეგმის სგმ-ის ეტაპზე.

გრიგოლეთის, როგორც მშვიდ, საკურორტო-გამაჯანსაღებელ ზონასთან ერთად შემოთავაზებულია მასშტაბური სპორტულ-სარეკრეაციო სივრცე მდინარე სუფსის შესართავთან. აღნიშნული სივრცე უნდა განვითარდეს სოფ. წყალწმინდის ყვავილნარის უბნის ტერიტორიებზე. წარმოდგენილია იპოდრომის, გოლფ-კლუბის, ჩოგბურთის ღია და დახურული კორტების, მათი ავტოსადგომ(ებ)ის, ქვიშის სპორტული მოედნების, ფიჭვის კორომებში სათავგადასავლო პარკის მოწყობის, სუფსის მარჯვენა შესართავთან სამგზავრო ნავსადგურის მშენებლობის, გრიგოლეთის სამხრეთით საცხოვრებელი კომპლექსის ინფრასტრუქტურის განვითარების, სასტუმრო-კომპლექსის „სუფსის კონცხი“, ჰიდროპარკის, ასევე პარკინგ(ებ)ის, „მწვანე“ გზების ქსელის, ხელოვნური არხების „ლურჯი“ ჰიდროქსელის, სანაპიროზე საქვეითო ხიდის, ზღვაში ქარის ენერჯის დანადგარების (დაახლოებით 1 კმ მანძილზე), კემპინგის, საშუალო კლასის სასტუმროს, საფესტივალო სივრცის და სხვა შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის შესაძლებლობები შესაბამისი ექსპლიკაციებითა და ალტერნატივებით.

აღნიშნულია, რომ გეგმარებითი არეალის განვითარება გამოიწვევს ისეთი გარემოსდაცვითი საკითხების გადაწყვეტის საჭიროებას, როგორებიცაა: ცვლილება მიწათდაფარულობასა და მიწათსარგებლობაში, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება, ვიზუალური ზემოქმედება და ლანდშაფტის ცვლილება, ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება, ნარჩენების წარმოქმნა, წყლისა და სანაპიროს დაბინძურება, წყლის რესურსებზე მოთხოვნის გაზრდა, ხმაური და სხვა, რაც დეტალურად აისახება სგმ-ის ანგარიშში.

სკოპინგის განცხადებაში დახასიათებულია სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ტერიტორიის გარემო. აღნიშნულია, რომ გრიგოლეთისა და ყვავილნარის ტერიტორია დაფარულია მრავალწლოვანი ფიჭვნარით. ზღვის სანაპირო

ზოლი წარმოადგენს სამკურნალო თვისებების მქონე მაგნიტური ქვიშის სანაპიროს. სანაპიროსთან ზღვის სიღრმე მცირეა, ნაპირიდან 30 მ-ის მანძილზე არ აღემატება 0,8-1,2 მ-ს. საბანაო სეზონი იწყება ივნისიდან და გრძელდება სექტემბრის ბოლომდე. ჰავა სუბტროპიკულია. ხასიათდება ძირითადად თბილი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით. განხილულია კლიმატი. აღნიშნულია ზემოქმედების საკითხები.

ყურადღება გამახვილებულია ისეთ პრობლემებზე, როგორცაა ზღვის დაბინძურება, მჭიდრო და ქაოტური განაშენიანება, რომელთა გამოც რამდენიმე ადგილას შეზღუდულია ზღვასთან მისასვლელი. საკვლევ ტერიტორიის მთელ სანაპირო ზოლს მიუყვება ფიჭვნარი, რომელიც ბევრგან განადგურებულია არასწორად დაგეგმილი მშენებლობების გამო. მოჭრილი ფიჭვების ადგილას უსისტემოდაა აშენებული კერძო სახლები. აღნიშნულია, რომ გრიგოლეთის მაგნიტური ქვიშიანი სანაპიროს 80%-მდე მდ. სუფსის ჩამონატანით არის ფორმირებული, ხოლო მდ. სუფსიდან დიდი რაოდენობით ინერტული მასალის ამოღება აზიანებს ამ პროცესს. ამასთან, აღნიშნულია რომ სანაპიროს მონაკვეთის საკურორტო ღირებულებებზე ძლიერი ზეგავლენა იქონია 2015 და 2019 წლებში განხორციელებულმა ნაპირდაცვითმა ღონისძიებებმა. განმარტებულია, რომ სგშ-ის ანგარიშში დეტალურად მოხდება ჩატარებული ნაპირდაცვითი სამუშაოების ანალიზი. ასევე, აღნიშნულია 2020 წლის ივლისის დასაწყისში, სავარაუდოდ, ევტროფიკაციის შედეგად გამოვლენილი ზღვის „ყვავილობის“ მძაფრი ეპიზოდი ფოთი-გრიგოლეთის მონაკვეთზე.

დოკუმენტის თანახმად, კურორტ გრიგოლეთსა და ყვავილნარში არ არსებობს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემა. სასმელად და სამეურნეო მიზნით ძირითადად გამოიყენება ინდივიდუალურად მოწყობილი ჭები და ჭაბურღილები. გრიგოლეთში არ ფუნქციონირებს საკანალიზაციო კოლექტორი. მდინარეებში ასევე უკონტროლოდ ხვდება საყოფაცხოვრებო ნარჩენი. საკურორტო ზოლში არ არსებობს სათანადოდ მოწყობილი ინფრასტრუქტურა. ნარჩენების გატანა ყოველდღიურად ხდება, თუმცა რეგულარულად ვერ სუფთავდება სანაპირო ზოლი. შესაბამისად, ეს ყველაფერი იწვევს ზღვისა და სანაპირო ზოლის დაბინძურებას. მაგალითად, 2019 წლის აგვისტოში ჩატარებულმა ზედაპირული წყლების მიკრობიოლოგიურმა ანალიზებმა აჩვენა, რომ ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები ზღვის წყალში ძლიერ აღემატებოდა დასაშვებს.

სკოპინგის განცხადებაში მოცემულია იმ ზოგადი და კონკრეტული საბაზისო კვლევების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა განხორციელდეს სგშ-ის მომზადების პროცესში. ზოგად საბაზისო კვლევებში მოიაზრება ბიომრავალფეროვნება, ნიადაგი, წყალი, ჰაერი, კლიმატური ფაქტორები, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა, ლანდშაფტი, გეოსაფრთხეები. კონკრეტული საბაზისო კვლევების კუთხით ვრცელი ჩამონათვალია მოცემული, მათ შორის:

- წყლის ხარისხის მონიტორინგი.
- ახალი კორონავირუსის საფრთხეების შეფასება (გარემოს დაცვა, ტურიზმი).
- ზღვასა და სანაპიროზე ნარჩენების მონიტორინგი.
- ჭარბტენიანი ტერიტორიების ჰიდროლოგიური მდგომარეობის სრული შენარჩუნება.
- მდინარეთა ჰიდროლოგიური რეჟიმები გეგმარებით არეალში, მათ შორის წყალდიდობები.
- ზღვის და მტკნარი წყლის იქთიოფაუნა.
- გლობალურ დათბობასთან დაკავშირებული სტიქიური მოვლენების სიხშირისა და სიძლიერის გაზრდა, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება.

- დატბორვის ზონების განსაზღვრა და მართვა, მათ შორის კლიმატის ცვლილებით გამლიერებული სანაპირო დატბორვა.
- კლიმატის ცვლილების ზემოქმედებების ზოგადი შეფასება და კლიმატის ცვლილებით ზღვის დონის აწევის გრძელვადიანი ზემოქმედებები.
- ნაპირების ეროზიის/წყალდიდობის არელების მართვა ზონირებით და ნაპირდაცვითი პროექტების გარემოზე ზემოქმედების ანალიზი.
- მდინარეთა ნაპირების გამაგრების და კალაპოტების მართვასთან დაკავშირებული სამშენებლო ინერტული მასალების გამოყენების გარემოზე ზემოქმედების შეფასება.
- ელექტროგადამცემი ხაზების (ეგხ) ვიზუალური ზემოქმედების შერბილება (როგორც არსებული ეგხ-ები, ისე სამომავლოდ დაგეგმილი).
- მაგისტრალური გაზის და ნავთობსადენების ზემოქმედებების შეფასება/შერბილება.
- ინფრასტრუქტურის კუმულაციური ზემოქმედების შეფასება.
- საკანალიზაციო სისტემის მდგომარეობა.
- გამწმენდი ნაგებობის საკითხის განხილვა.
- სასტუმროებისა და რესტორნების საკანალიზაციო წყლების და გამწმენდი ნაგებობების საკითხი.
- კოლხეთის ეროვნული პარკის მართვის გეგმებთან ჰარმონიზაცია და ინტეგრირება.
- ხე-მცენარეთა, მათ შორის ენდემური სახეობების, კორომების აღდგენის ინიცირება.
- ობიექტების წარდგენა ბუნების ძეგლის სტატუსზე (მაგ. სანაპირო ტბორები).
- გრიგოლეთი-ყვავილნარის მტკნარი ტბორების კონსერვაცია/აღდგენა/ეკოტურიზმი.
- ნარჩენების მართვის სისტემების ჩამოყალიბება ტურისტულ ზონებში.
- ნაგავსაყრელის (მათ შორის სამშენებლო) საკითხი, სანაყაროების მართვა.
- სახიფათო ნარჩენების მართვის საკითხების შეფასება.
- ბიოლოგიური ნარჩენების კომპოსტირების საკითხები.
- არსებული და დაგეგმილი საავტომობილო გზის ალტერნატივების ანალიზი.
- საქვეითო ხიდების (გზაზე გადასასვლელების) მოწყობა (მათ შორის მწვანე ბარიერები).
- ბუნებრივი რესურსების უკონტროლო გამოყენების გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასება (ქვიშა-ხრემის, ასევე ტორფის მოპოვება და სხვა).
- გრიგოლეთისა და ყვავილნარის წყალმომარაგების, წყალარინებისა და სანიაღვრე სისტემებისათვის შემოთავაზებული ალტერნატივების განხილვა და ანალიზი.

დოკუმენტის თანახმად, სგშ-ის ანგარიშში განხილულ იქნება იახტკლუბისა და სამგზავრო ნავსადგურის (აკვატორიის ფართობი მეტია 1 ჰა-ზე) ორი ალტერნატივა, რომელთაგან ორივეს გააჩნია პოტენციური მნიშვნელოვანი შეუქცევადი უარყოფითი ზემოქმედება მოახდინონ გრიგოლეთის სანაპიროს სტაბილურობაზე. ამდენად, აღნიშნულია, რომ შემოთავაზებულმა განვითარებამ არ უნდა შეაკავოს მდინარის სედიმენტების ნაპირწარმომქმნელი ნატანის ნაპირგასწვრივ ნაკადები და არ გამოიწვიოს სხვა მნიშვნელოვანი ზემოქმედებები.

განხილვის საგანი იქნება, აგრეთვე, გრიგოლეთის ტორფნარების ჰიდროლოგიურ მახასიათებლებზე შესაძლო ზემოქმედება „მწვანე/ლურჯი“ გზების ინიციატივის ფარგლებში, მათ შორის ახალი არხების გაყვანა/რეაბილიტაციის შედეგად.

დოკუმენტის თანახმად, გასართობი ტურიზმის გეგმების ზემოქმედება სანაპიროს გარემოზე კომპენსირებულ უნდა იქნეს საკონსერვაციო ღონისძიებებით, როგორცაა, მაგალითად, ყვავილნარი-ურეკის სანაპიროს ხელუხლებელი მონაკვეთის კონსერვაცია და დაცვა.

ასევე, სგშ-ის ანგარიშში მოცემული იქნება ინფორმაცია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I და II დანართებით გათვალისწინებული არსებული და დაგეგმილი საქმიანობების შესახებ.

აღნიშნულია, რომ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების თავიდან აცილების, შემცირების ან შერბილების ღონისძიებების აღწერა წარმოდგენილი იქნება გარემოსდაცვითი მართვის გეგმის და გარემოსდაცვითი ღონისძიებების პროგრამის ფორმატით. აღნიშნული ღონისძიებები შემუშავებული იქნება ზემოქმედებების საპასუხოდ, რომელთა შეფასება ჩაითვლება საშუალოდ ან ძლიერად რანჟირების შედეგად. გარემოსდაცვითი მართვის გეგმის და ღონისძიებების პროგრამის წარმოდგენილ ფორმებში, მაგალითის სახით, საორიენტაციოდ მოყვანილია რამდენიმე ღონისძიება, რაც სავარაუდოდ, სხვა ღონისძიებებთან ერთად, წარმოდგენილი იქნება სგშ-ის ანგარიშშიც.

დოკუმენტის თანახმად, ალტერნატივების განხილვა მოხდება სამ დონეზე - სტრატეგიული, გეგმარებისა და კონკრეტული საქმიანობების. აღნიშნულია, რომ დარგების ინდიკატორული შეფასება მოხდება მატრიცით. აღნიშნული ალტერნატივები მოცემულია ცხრილების სახით.

დოკუმენტის თანახმად, სკოპინგის ეტაპისთვის იდენტიფიცირებული იქნა რიგი სტრატეგიული დოკუმენტებისა, რომლებთან თანხვედრაც განხილული იქნება სგშ-ის ანგარიშის მომზადების ეტაპზე.

გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის სგშ-ის სკოპინგის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია განხილვის მიზნით გაეგზავნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას და სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს. საზოგადოების მხრიდან სტრატეგიული დოკუმენტის თაობაზე ან/და სკოპინგის განცხადებაზე წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სამინისტროში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სგშ-ს ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი

ინფორმაციის ჩამონათვალი

1. **სგშ-ის ანგარიში** უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 26-ე მუხლით დადგენილ ინფორმაციას;
2. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის განცხადებაში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია;

3. სგშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს სკოპინგის განცხადებით გათვალისწინებული შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსირებისთვის საჭირო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
4. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტისთვის საკვანძო გარემოსდაცვითი საკითხები და სგშ-ის პროცესში შესწავლილი ზემოქმედებები;
5. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს განაშენიანების გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების საანგარიშო პერიოდი, მათ შორის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დანართებით გათვალისწინებული იმ საქმიანობების, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სტრატეგიული დოკუმენტის ფარგლებში;
6. სგშ-ის ანგარიშში უნდა იყოს მოცემული გეგმის განხორციელების შემთხვევაში ყველა შესაძლო დაბინძურების შემარბილებელი ღონისძიება.
7. სგშ-ის ანგარიშში უნდა შეფასდეს გეგმის სხვადასხვა სექტორულ და მულტისექტორულ სტრატეგიულ დოკუმენტთან კავშირი;
8. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია, თარიღების, განხილული საკითხებისა და სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესში მიღებული შენიშვნების გათვალისწინების შესახებ;
9. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია შემოთავაზებული ხედვების განხორციელების შემთხვევაში, მოსახსნელი ნიადაგის ფართობისა და მოცულობის თაობაზე;
10. სგშ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს საპროექტო ტერიტორიებზე ბიომრავალფეროვნების აღწერას, საქმიანობისგან გამოწვეული ზემოქმედების ხარისხს და შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებს.
11. სგშ ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე და გარემოს სხვა კომპონენტებზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ;
12. სგშ ანგარიშში შესწავლილ უნდა იქნას პლაჟებისა და მათი მკვებავი სისტემების სარეაბილიტაციო ღონისძიებები, რის შემდგომაც გაკეთდება არჩევანი ამ სისტემებთან კონტაქტში მყოფ სხვადასხვა ნაგებობის მშენებლობის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, ამისთვის შეფასებულ უნდა იქნას აღნიშნული სანაპიროს პლაჟებისა და წყალქვეშა ფერდის თანამედროვე და ისტორიული (ბუნებრივი) დინამიკა, დადგენილ იქნას არსებული ხარვეზები და მათი აღმოფხვრის გზები.
13. სგშ-ის ანგარიშში ცალკე თავი უნდა დაეთმოს ალტერნატივების მიმოხილვას, მათ ანალიზსა და შეფასებას;
14. სგშ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების მონიტორინგთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სადაც ასევე აისახება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები;
15. სგშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია ტურიზმის განვითარებისა და ტურისტული ნაკადის ზრდის გათვალისწინებით, გარემოზე ზემოქმედების შესახებ;
16. სგშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ადგილის და აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისათვის შერჩეული ტერიტორიების shp ფაილები;

17. სგშ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას არსებული რეკრეაციული ტერიტორიების შესახებ ან/და მათი განაწილების თაობაზე ერთ სულ მოსახლეზე. ტერიტორიები, რომელთაც შემდგომ მიენიჭებათ შესაბამისი სარეკრეაციო ზონირება.

სგშ-ს ანგარიშის მომზადებისას გასათვალისწინებელია შემდეგი ინფორმაცია:

- ვინაიდან საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ზურმუხტის ქსელის უშუალო სიახლოვეს და ზემოაღნიშნული სკოპინგის განცხადების მიხედვით „დასახლებების და საქმიანობების შემდგომ განვითარებას მნიშვნელოვანი ზემოქმედება შეიძლება ჰქონდეს სანაპიროზე ხმელეთის, ზღვის და მტკნარი წყლის სახეობებზე, ჰაბიტატებზე, ეკოსისტემებზე, დაცულ ტერიტორიებზე“, ყველა კონკრეტული საქმიანობის დაწყებამდე, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებული იქნება სამინისტროში წარმოადგინოს ე. წ. ზურმუხტის ქსელზე ზეგავლენის შეფასება.
- კოლხეთის რეფუგიუმის ამ უბანში გრიგოლეთი-ყვავილნარის მონაკვეთზე თავმოყრილია კოლხეთის დაბლობისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა ჰაბიტატი: ცოცხალი პერკოლაციური სფაგნუმისანი ტორფნარები, რელიქტური ტყეები, ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბორები, სანაპირო დიუნები, ტბები, ჭარბტენიანი მდელოები. გრიგოლეთი უშუალოდ ესაზღვრება კოლხეთის ეროვნული პარკის იმნათის უბანს, სადაც გრიგოლეთის ტორფნარი მდებარეობს. შესაბამისად მნიშვნელოვანია დაგეგმარების პროცესში კოლხეთის დაბლობის წყალ-ჰაბიანი სავარგულების, მიგრირებადი და წყალმცურავი ფრინველებისათვის საბინადრო გარემოს, ბუნებრივ-ეკოლოგიური ჰაბიტატების, სფაგნუმის ტორფნარების, რელიქტური ტყეების, ბუნებრივი ტბებისა და ლაგუნების დაცვის მიზნით გარემოსდაცვითი ღონისძიებების გათვალისწინება; კოლხეთის წყალ-ჰაბიანი ეკოსისტემებისათვის დამახასიათებელი უნიკალური (პერკოლაციური) ჰიდროლოგიური რეჟიმის შენარჩუნება და დაცვა;
- დოკუმენტით გათვალისწინებული უბნის საკურორტო კომპლექსების განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პლაჟების არსებობას და მათ პარამეტრებს. უბნის ჩრდილოეთი, მალთაყვა, იკვებებოდა მდ. რიონის სამხრეთი ტოტის მიერ წყალდიდობისას გამოტანილი ქვიშით და ეს ქვიშა ვრცელდებოდა მდ. სუფსის შესართავამდე. რიონის შესართავის ნაბადაში გადაადების შემდეგ, პლაჟების ერთადერთი მკვებავი წყარო-საქალაქო არხია. არხის მყარი ჩამონადენი არასტაბილურია და დამოკიდებულია მე-7 კმ-ზე არსებული წყალგამყოფი ნაგებობის გამართულ მუშაობაზე. ნაგებობას უკვე გაუვიდა ექსპლუატაციის ვადა და ავარიულია. გარდა ამისა, შემცირებულია საქალაქო არხის გამტარუნარიანობა, რაც გამოიხატა უბნის ცენტრალურ ნაწილზე (გრიგოლეთი) პლაჟების პარამეტრების შემცირებით. პლაჟების კატასტროფული გარეცხვების მიზეზი, გარდა აღნიშნულისა, გახდა მოსახლეობის მიერ პლაჟებზე და ნაპირგასწვრივ ზვინულებზე თვითნებურად, სხვადასხვა ნაგებობის აშენება. შედეგად ზოგიერთ მონაკვეთზე პლაჟი სრულიად გაქრა და აღდგენილ იქნა მხოლოდ მასალის ხელოვნურად შეტანით. განსახილველი ტერიტორიის სამხრეთ უბანი იყოფა ორ ნაწილად - მდ. სუფსის შესართავის ჩრდილოეთ ნაწილი, რომლის პლაჟებიც ადრე მდ. რიონისა და სუფსის ჩამონადენით იკვებებოდნენ (ახლა

მხოლოდ რიონის ჩამონადენით). სავარაუდოდ, 50-იან წლებში, სუფსაზე ხიდის აშენებამდე, შესართავი მდებარეობდა დაახლოებით 1 კმ-ით უფრო ჩრდილოეთით, სადაც ახლა პატარა ტბაა. ამ შემთხვევაში, მაგნეტიტური ქვიშის დიდი ნაწილით იკვებებოდა გრიგოლეთის პლაჟები (სუფსის შესართავი სუფსის წყალქვეშა კანიონის ჩრდილოეთით მდებარეობდა). ხიდის აშენების შემდეგ მაგნეტიტის დიდი ნაწილი კანიონში ჩაედინება და მხოლოდ მცირე ნაწილი კვებავს ურეკის პლაჟებს. შესაბამისად, პლაჟების და ზღვის კურორტების არსებობას, ადამიანის საქმიანობა უშლის ხელს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სგშ-ის ანგარიშში განხილულ უნდა იქნას პლაჟების მკვებავ მდინარეთა შესართავებთან ისეთი მშენებლობების აკრძალვის შესაძლებლობები, რომლებიც ხელს უშლიან პლაჟებზე საკვები მასალის მიწოდებას, პლაჟებზე მასალის გადაადგილებას და სხვ. ამასთან, მდ. სუფსის შესართავთან, ჩრდილოეთით, დაგეგმილი ნავმისადგომის განხილვისას შეფასებულ უნდა იქნას გრიგოლეთის პლაჟებზე მაგნეტიტური ქვიშის მიწოდების საკითხები, მათ შორის მიწოდების შესაძლებლობები საინჟინრო ღონისძიებების გამოყენებით (ბუნებრივი პროცესების სიმულაცია, წყალგამყოფით მაგნეტიტური ქვიშის მორიგეობით მიწოდება გრიგოლეთის და ურეკის პლაჟებზე);

- სგშ-ის ანგარიშში მიეთითოს, რომ სანაპირო ზოლის განაშენიანების არეალში, თითოეული საპროექტო შენობა-ნაგებობისათვის, მათი დაფუძნების პირობების დასადგენად, მშენებლობის დაწყებამდე აუცილებელია ჩატარდეს დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) კვლევა, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს დაჭაობებულ უბნებზე და ჯდენად გრუნტებზე.
- „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის (სანიტარიული დაცვის ზონები) მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირველ სარტყელში (მკაცრი რეჟიმის ზონა) აკრძალულია „ნებისმიერი მშენებლობა, გარდა წყალსადენის ნაგებობებისა; ნებისმიერი დანიშნულების საცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობების განთავსება; ინერტული მასალის მოპოვება; მილსადენის გაყვანა (გარდა წყალსადენის ნაგებობების მომსახურებისათვის აუცილებელისა); ჩამდინარე წყლების ჩაშვება, ბანაობა, პირუტყვის მოვება და დარწყულება, რეცხვა, თევზჭერა, მხამქიმიკატების გამოყენება მცენარეთა დაცვის მიზნით“.
- ზღვაში ქარის ელექტროგენერატორების განთავსებასთან დაკავშირებით, სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ უნდა იქნეს სავარაუდო განთავსების ტერიტორია, სიმძლავრე და სხვა შესაბამისი ინფორმაცია;
- დოკუმენტით გათვალისწინებული ბიჭვინთის ფიჭვის ხელოვნურად გაშენებული კორომისთვის საბაღე-საპარკო ხელოვნების და ლანდშაფტური არქიტექტურის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვის გარდა, განხორციელდეს ტერიტორიის ანალიზი ძეგლის ნიშნის მქონე სხვა ობიექტების გამოსავლენად, რომელთა რიცხვში შესაძლებელია მოექცეს სტაროვერების არამხოლოდ არამატერიალური, არამედ უძრავი ობიექტებიც (მაგ. საცხოვრებელი სახლები), ასევე, ადრეული საბჭოთა პერიოდის ღირებული და სახასიათო შენობები.
- სპორტული ობიექტების/მოედნების პროექტირება განხორციელდეს სამინისტროს სპორტის განვითარების დეპარტამენტთან კონსულტაციით, შემდგომში

სპორტული ინფრასტრუქტურის საერთაშორისო სტანდარტებთან და სპორტული ტურიზმის თანამედროვე საბაზრო მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით.

- სგმ-ს ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართული უნდა იქნას შესაბამისი კომპეტენციის სპეციალისტი (ისტორიკოსი/არქეოლოგი), რათა საბოლოო დოკუმენტში სათანადოდ იყოს წარმოდგენილი ინფორმაცია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და კულტურულ ფასეულობებზე პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების გამოვლენის, შესწავლისა და შედეგების სათანადო აღწერა/შეფასების შესახებ.
- გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების საპროექტო ტერიტორია, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, მოიცავს სასარგებლო წიაღისეულის (მიწისქვეშა მტკნარი წყალი) მოპოვებაზე გაცემულ ლიცენზიებს: N1002524 (მომპოვებელი – შპს „ვილა რეტა“), N1000507 (სს „საქართველოს მილსადენის კომპანია“), N1002260 (შპს „ანდამატი“), N 1004100 (შპს „ემბე“), N 10001629 (ფ/პ ჯუსტან ღურწყაია). გარდა ამისა, წარმოდგენილი ტერიტორია კვეთს სასარგებლო წიაღისეულის სახელმწიფო ბალანსზე რიცხული მალთაყვისა და გრიგოლეთის ტორფის საბადოების კონტურებს.

დასკვნითი ნაწილი:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის სგმ-ის ანგარიში სავალდებულოა მომზადდეს სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის შესაბამისად.